



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ანბანთქება

ანბანთქება, ქართული ლექსის სახეობა, ანბანზე განწყობილი ლექსი. პოპულ. იყო ე. წ. აღორძინების ხანის ქართ. პოეზიაში. არსებობს სას. და საერო ხასიათის ა-ები. ბიბლ. ეპიგრაფები უდევს საფუძვლად თეიმურაზ I-ის, არჩილ II-ის, თეიმურაზ II-ის ა-ებს. „შესაქცევარი და სახუმარო“ ტიპისაა ბესიკისა და მზეჭაბუკ ორბელიანის ა-ნი. არსებობს სატრფიალო (მაგ., გრიგოლ ბაგრატიონის „ერთს ლამაზ ქალზე“), ელეგიური განწყობილების გამომხატველი (მაგ., პეტრე ლარაძის „გოდება ანბანთქებით“), ამოცანად ამოსახსნელი, ანბანის დასასწავლად შეთხზული და სხვ. ხასიათის ა-ნი. კომპოზიციის მიხედვით ა-ები ერთმანეთისაგან განსხვავდება აკროსტიქული სისტემით: 1. ერთ სტროფში მოცემულია მთელი ანბანი, სიტყვები ანბანის რიგზეა განწყობილი; 2. ტაეპთა დასაწყისი ასოები იძლევა ქართ. ანბანს; ზოგჯერ ტაეპებს წინ მიუძღვის ასოთა სახელები: ან, ბან, გან და ა. შ.; 3. პირველი ტაეპის ყველა სიტყვა ანზე იწყება, მეორისა - ბანზე და ა. შ. ა. გვხვდება ხალხ. სიტყვიერებაშიც. თანამედროვე ქართ. პოეზია კი იშვიათად მიმართავს ამ ფორმას (ა-ის ნიმუშები იხ. წიგნში: „ქართული პოეტიკის ქრესტომათია. XVIII – XIX სს.“ თბ., 1954).

გ. მიქაძე
